პარტნიორული შეთანხმება

ააიპ აისეკ საქართველო
შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტი

პარტნიორული შეთანხმება

ააიპ აისეკ საქართველო სა
და
შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს
შორის

1. შესავალი

მხარეები მიზნად ისახავენ, დაიწყონ ორწლიანი თანამშრომლობა, რომელიც შესაძლებელია, განახლდეს მოცემული შეთანხმების ვადის ამოწურვის შემდეგ, მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. შეთანხმების მიზანს წარმოადგენს შემდეგი საკითხები:

1. აისეკ საქართველო (შემდგომში "აისეკ საქართველო") და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში "უნივერსიტეტი") შეთანხმდნენ გახდნენ პარტნიორები, რაც გამოიხატება ერთობლივი საქმიანობის სურვილის ოფიციალურ განაცხადში, რომელიც მოიცავს თანამშრომლობას საერთო ინტერესების სფეროებში.

2. ამ პარტნიორობის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტისა და აისეკ საქართველოს ამოცანების განხორციელებას, კერძოდ, საერთაშორისო კონკურენტუნარიანი ლიდერების აღზრდას, ქართველი ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების გამრავალფეროვნებას და საერთაშორისო სტრატეგიული კავშირების განმტკიცებას.

3. ამ პარტნიორობის მიზანია, ხელი შეუწყოს აისეკ საქართველოს ამოცანის განხორციელებას, კერძოდ, შეუქმნას საერთაშორისო ასპარეზი საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს მათი შესაძლებლობების გამომჟღავნებისა და განვითარებისათვის, რომ იქონიონ დადებითი გავლენა საზოგადოებაზე.

2. პარტნიორული წინადადების მიმოხილვა

მხარეები მიზნად ისახავენ, შედგეს ორწლიანი განახლებადი თანამშრობლობა შემდეგი მიმართულებებით:

1. უნივერსიტეტის ჩართვა აისეკ საქართველოს წევრი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გლობალურ ქსელში, ასევე, დაკავშირება სტუდენტებისა და ახალი კურსდამთავრებულების წარმომადგენლობით წრეებთან.

2. უნივერსიტეტის სტუდენტების ხელშემწყობი პირობების შექმნა, მათი პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის პრაქტიკულ და საკონკურსო შემეცნებით გარემოში.

3. უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო სტაჟირების პროგრამებში, რათა მათ ისწავლონ და დააგროვონ გამოცდილება სხვადასხვა ქვეყნის რეალურ სამუშაო გარემოში.

4. უნივერსიტეტი დაკავშირება აისეკ საქართველოს აღზრდილთა მრავალრიცხოვან წარმომადგენლებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ბიზნესის, სამთავრობო თუ სოციალურ სექტორებში.

5. აისეკ საქართველოს აუცილებელი პირობებით უზრუნველყოფა მისი ყოველდღიური ღონისძიებების განსახორციელებლად, რომლებიც ჩამოთვლილია მე-4 თავში.

3. უფლებები და მოვალეობები

ქვემოთ მოცემულია მხარეთა ფუნქციები და ვალდებულებები:

უნივერსიტეტი თანახმაა შემდეგ პირობებზე:

1. უზრუნველყოს ოთახის გამოყოფა უფასოდ უნივერსიტეტის შენობაში.

2. ოთახი უნდა იყოს ხელმისაწვდომი აისეკ საქართველოს წევრებისთვის კვირის დღეების განმავლობაში.

3. შენობის შეცვლის შემთხვევაში უზრუნველყოს ოთახი აისეკ საქართველოს წარმომადგენლებისათვის ახალ შენობაში.

აისეკ საქართველო თანახმაა შემდეგ პირობებზე:

1. თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში გახსნას აისეკის ოფიციალური წარმომადგენლობა;

2. თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის 10 საუკეთესო სტუდენტს საშუალება მისცეს საფასურის გადახდის გარეშე მიიღონ მონაწილეობა აისეკის ნებისმიერ გაცვლით პროგრამაში;

3. თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება მისცეს საფასურის გადახდის გარეშე გაწევრიანდნენ ორგანიზაციაში და მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება სწავლის პარალელურად;

4. უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება მისცეს უფასოდ მიიღონ მონაწილეობა აისეკის მიერ ორგანიზებულ ენის კურსებსა და ადგილობრივ პროექტებში, რომელთაც ჩვენი უცხოელი სტაჟიორები ატარებენ.

4. აისეკ საქართველოს საქმიანობა

აისეკ საქართველო განახორციელებს შემდეგ საქნიამობას ნაციონალურ ოფისში.

1. შეხვედრები სხვადასხვა ორგანიზაციულ თემასთან დაკავშირებით;
2. სემინარები, ტრენინგები, ჯგუფური დისკუსიები და სხვა ინტენსიური სასწავლო მეთოდების გაზიარება სტუდენტებისთვის.
3. თემატური პროექტების ორგანიზება.
4. სტაჟირებების მომზადება, როგორც წამსვლელთა ისე ჩამომსვლელთათვის.

5. შეთანხმების გაუქმება უნივერსიტეტის მხრიდან:

უნივერსიტეტს აქვს უფლება, გააუქმოს აღნიშნული შეთანხმება. ამის შესახებ აისეკ საქართველოსთვის წერილობითი შეტყობინების საშუალებით, ნებისმიერ დროს თუ:

a. აისეკ საქართველო არ შეასრულებს შეთანხმებას.

b. უნივერსიტეტის ფართი და საკუთრება, რომელიც აისეკ საქართველოს სარგებლობაშია, გამოყენებული იქნება სხვა მიზნებისთვის, რომელიც აისეკ საქართველოსა და უნივერსიტეტს შორის დადებული შეთანხმებით არ არის გათვალისწინებული.

6. შეთანხმების გაუქმება აისეკ საქართველოს მხრიდან:
აისეკ საქართველო უფლებამოსილია გააუქმოს შეთანხმება თუ:

a. უნივერსიტეტი არ შეასრულებს შეთანხმებას.

b. აისეკ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრება ტრენინგების, პრეზენტაციებისა და სხვა მეთოდოლოგიური საშუალებების გამოყენება მოხდება სხვა არანებადართული გზით, რომლიც არ არის შეთანხმებით გათვალისწინებული.

7. პასუხისმგებლობის ფარგლები

აისეკ საქართველო არ არის პასუხიმგებელი:

- უფლებამოსილი პირის მხრიდან უარის თქმის შემთხვევაში, გაიცეს ვიზა, სამუშაო ნებართვა, სამართლებრივი დოკუმენტი ან სხვა რამე ნებართვა, რომელიც საჭიროა სტაჟირებისთვის.
- პიროვნებისათვის უბედური შემთხვევის დამართვის შემთხვევაში სტაჟირების დროს.

- თუ ინდივიდს ზიანს მიაყენებს ორგანიზაცია ან ნებისმიერი სხვა მესამე მხარე სტაჟირებისას.
- თუ ვერ მოხერხდა ნაკისრი მოვალეობის შესრულება აისეკ საქართველოსგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

8. შეთანხმების ვადა

შეთანხმების პერიოდი არის ორი წელი, შეთანხმება ძალაში შევა 2016 წლის 12 სექტემბერს და დასრულდება 2018 წლის 12 სექტემბერს. მხარეები თანახმანი არიან გადახედონ 2018 წლის 12 სექტემბრის შეთანხმების პირობებს, პარტნიორობის ვადის გაგრძელების საკითხის ჩათვლით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

მხარეებმა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ორი თვით ადრე უნდა აცნობონ ერთმანეთს.

თარიღი 12.09.2016

ეს შეთანხმება წარმოადგენს ოფიციალურ ხელშეკრულებას და აისეკ საქართველოსა და თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს შორის ურთიერთობის განმსაზღვრელ სამართლებრივ ფორმას.

ხელმოწერა: ____________

რექტორი

ხელმოწერა: თ. ცუცქირიძე?

აისეკ საქართველოს პრეზიდენტი

დანართი 1. აისეკ საქართველოს სტაჟირების პროგრამის ღირებულება

პროგრამა	ღირებულება
მოკლევადიანი Global Citizen პროგრამა (6 - 8 კვირა)	600
მოკლევადიანი პროფესიული პროგრამა Global Entrepreneur (6-12 თვე)	600
გრძელვადიანი Global Talent პროგრამა (6 – 18 თვე)	700

*ფასები მოცემულია ლარში